



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 302  
05/02/2018

ქალაქი ბათუმი

302-05-4-201802051100



### სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრზე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის ანაზღაურების შესახებ

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 1 თებერვლის №337-05 მოხსენებით ბარათით განიმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2017 წლის 16 ივნისს სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ხელშეკრულების თანახმად უზრუნველყო ტესტირების ჩატარება, რაც 26.06.2017 წლის მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, ხოლო ანაზღაურება ვერ განხორციელდა, ვინაიდან ხელშეკრულება არ იყო მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ დარეგისტრირებული, რადგანაც გეგმაში არ იყო ასახული. აღნიშნული ღონისძიება დარჩა დაუფინანსებელი 230 ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს, რომ განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ამისათვის საჭიროა გამოიცეს სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების კლების მუხლიდან.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 29 იანვრის №251-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 230 ლარის ანაზღაურება მოხდეს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) განახორციელის ქმედითი ღონისძიებები თანხის გადარიცხვის უზრუნველსაყოფად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, is positioned at the top right of the page.